

ხალხური შემოქმედების ასახვისათვის ალექსანდრე ყაზბეგის
თხზულებებში

ეკა ვარდოშვილი

ფილოლოგიის დოქტორი, ცხუმ-აფხაზეთის
მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული
პროფესორი

E-mail: eka.vardoshvili@tsu.ge

*წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პროფესორ ოთარ
ჭურღულიას სახელობის ქართული ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტმა*

აბსტრაქტი. ფოლკლორულ მასალას იყენებს ყაზბეგი მხატვრულ, ეთნოგრაფიული და ავტობიოგრაფიული ხასიათის თხზულებებში. ეთნოგრაფიული ხასიათის წერილი „მოხვევები და იმათი ცხოვრება“, რომელიც გაზეთ „დროებაში“ 1880 წელს გამოქვეყნდა და წარმოადგენს მისი შემოქმედების ერთგვარ საფუძველს. „ნამწყემსარის მოგონებანში“ იგი წერს: „მე მინდოდა მენახა ხალხი, მსურდა გამეგო იმათი სურვილი, მეცხოვრა იმათი ცხოვრებით... როგორც ეს ყველა ჩავისმინე და გავიგე, გადავწყვიტე მოთხრობებად გადმოგცეთ და გაგაცნოთ ამ ხალხის ჩვეულება, ხასიათი და წესები“ (ყაზბეგი). აქ ყაზბეგმა ნათლად განსაზღვრა თავისი ცხოვრების მიზანი და მხატვრულ ქმნილებათა არსი.

აღსანიშნავია ისიც, რომ იგი თავად კრებდა და ავრცელებდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. 1885 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნდა მის მიერ ჩაწერილი ლექსები, სათაურით „სახალხო ლექსები ხევში შეკრებილი ა. მოჩხუბარიძისაგან“. 1886 წელს კი ცალკე წიგნად გამოიცა „სახალხო ლექსები, მოხვევთა და მოხვევის სიმღერები“. ხალხური სიტყვიერების გავლენა შეინიშნება მის ლირიკულ ლექსებშიაც.

ვფიქრობთ, ამ კუთხით მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში კვლავ ბევრი რამაა შესასწავლი და გასააზრებელი.

საკვანძო სიტყვები: ყაზბეგი, ქართული ფოლკლორი, მხატვრული თხზულებები.

ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში ფოლკლორული საფუძვლების ძიებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ 1871 წლის გაზაფხულზე, რუსეთიდან რამდენიმე თვის წინ დაბრუნებული მწერალი მეცხვარედ მიდის და 1879 წლამდე იგი მწყემსებთან ერთად მთაში ცხოვრობს. მისი ცხოვრების ამ მონაკვეთის შესახებ იგი მოგვითხრობს თავის ავტობიოგრაფიული ხასიათის თხზულებაში „ნამწყემსარის მოგონებანი“. „მე 18... წელს გადავწყვიტე მეცხვარეობა დამეწყო და ამ ხელობის შემწეობით მომევილო მთა და ბარი, გამეცნო ხალხი და გამომეცადა ის შიშით და სიამოვნებით სავსე ცხოვრება, რომელიც მწყემსებს განუშორებლივ თან სდევს.

რასაკვირველია, პირველი ჩემი ნაბიჯი ყველამ, განურჩევლად ყველამ, მასხრად აიგდო, რადგან ამბობდნენ, რომ მებატონეს და მასთან სახელიანი კაცის შვილს უბრალო მეცხვარეობა არ ეკადრებაო, მაგრამ მე ჩემი მიზანი მქონდა, ჩემი სურვილი და ეს იქამდის ძლიერი იყო, რომ არავითარს რჩევას ყური არ ვუგდე; მე მინდოდა მენახა ხალხი, მსურდა გამეგო იმათი სურვილი, მეცხოვრა იმათი ცხოვრებით, ჩემ თავზედ გამომეცადა ის მოთხოვნილება და გაჭირვება, რომელიც უკან სდევს მუშა ხალხს, და რაღა დამაყენებდა შინ. მივაღწიე ჩემს მიზანს, დავუახლოვდი, გავიცან ისინი, ვისიც გაცნობა და დაახლოვება მე გულით მსურდა“ [1, 212]. უკეთ გაცნობოდა მთის ხალხის ცხოვრებას, ჩასწვდომოდა მათი სულის სიღრმეებს იყო მწერლის მიზანი.

1879 წლიდან ალ. ყაზბეგი თბილისში გადადის საცხოვრებლად და იწყებს პროზაული ნაწარმოებების თხზვას. „ციცკა“ იყო მისი პირველი მოთხრობა, რომელიც 1880 წლით თარიღდება, 1885 წელს ყაზბეგი წერს მოთხრობას „მოდვარი“, რომელიც მისი უკანასკნელი მხატვრული ტილოა. მისი შემოქმედებით პროცესი არ არის ხანგრძლივი, მაგრამ არის თემატურად მრავალფეროვანი. მიუხედავად იმისა, რომ იგი ღრმად ეროვნული მწერალია მის შემოქმედებას ხშირად ადარებენ ვ. ჰიუგოს, პროსპერ მერიმესა, ა. გრიფიუსის და სხვათა მხატვრული ტილოებს.

1882-1883 წლებით თარიღდება „ნამწყემსარის მოგონებანი“. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ მემუარული ჟანრი დამახასიათებელია XIX საუკუნის ქართველი რეალისტი მწერლებისათვის.

„ნამწყემსარის მოგონებანი“ სრულდება ამგვარად, „აქ ვწყვეტამ ამ წერილებს, რადგანაც, რაც ვნახე და გავიგონე, როგორც ეს ყველა ჩავისმინე და გავიგე, გადავწყვიტე მოთხრობებად გადმოგცეთ და გაგაცნოთ იმ ხალხის ჩვეულება, ხასიათი და წესები, რომელიც ან საქართველოს ნაწილს შეადგენს, ან არა და იმის აუცილებელს დამოყვრებულს მეზობლებს, რომლებთანაც უფრო მკვიდრი კავშირი არ აგვიანდება ჩქარს მომავალში“ [1, 243]. „ნამწყემსარის მოგონებანში“ აღწერილი მთის ხალხის ცხოვრება თითქმის ემთხვევა ეთნოგრაფიული ხასიათის წერილში „მოხვევები და იმათი ცხოვრება“ მონათხრობს.

მთის ხალხის ცხოვრებას გვიხატავს ალ. ყაზბეგი თავის ნაწარმოებებში „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“, „ციცია“, „ელეონორა“, „ხვეისბერი გოჩა“, „მოდღვარი“, „ელისო“...

ყაზბეგმა ინტიმური გრძნობები სოციალურ ენაზე გვითარგმნა. ბუნება წარმოაჩინა ადამიანთა ცხოვრებასთან კავშირში.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ მოთხრობის „ხვეისბერი გოჩას“ საფუძველია ხალხული თქმულება „ჩამინებული“, რომელს რამდენიმე ვარიანტია ჩაწერილი. ეს მოთხრობა ავტორისათვის უამბნია მოხევე ღინჯა ხულელს, რომლის სახესაც ყაზბეგი „ელგუჯაში“ გვიხატავს. „ხვეისბერი გოჩა“ ყაზბეგის შემოქმედების მწვერვალადაა მიჩნეული და მხატვრული გააზრებით ენათესავება „შექსპირული“ რეალიზმის სულს. ამ მოთხრობას ხშირად პროსპერ მერიმეს „მატეო ფალკონესაც“ ადარებენ.

მოთხრობის ისტორიული საფუძველია ნუგზარ ერისთვის მიერ, თავისუფალი ხვეის დამორჩილების სურვილი, რასაც მთის ხალხის დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა.

ნაწარმოები იწყება ქორწილთან დაკავშირებული საწესჩვეულებო სცენების აღწერით. „სტუმრები შევიდნენ ხალხით გამოჭედილს სახლში, სადაც უფროსი კაცები მოეგებნენ, დაულოცეს სასიძოს გზა, შემოატარეს კერა და „ხელისმომკიდესთან“ და სახლის უფროსთან ერთად კერის პირას თავში დასხეს. აშლილი

ხალხიც ისევ დალაგდა, გაიმართა ისევ ლხინი და თასების გაგზავნა-გამოგზავნა ჩვეულებრივის „სმურებით“.

აქ იყვნენ მარტოკა კაცები, ქალები არსად სჩანდნენ. მათი ხმა მოისმოდა სახლის უკანა კუთხიდგან. იქ გაემართათ ტაშ-ფანდურა და იქვე მიეზიდათ ყმაწვილი ბიჭები, რომელნიც გატაცებით შესცქეროდნენ ლაზათით სავსე მოლეკურე ქალები.

არ გაუვლია რამდენსამე წუთს, როდესაც ხალხი გაიპო და მათ შორის გამოჩნდა ვიღაცა მოხუცებული დიაცი. ყველანი ზეზე წამოდგნენ და მიესალმნენ მოხუცს, რომელიც პირდაპირ „ხელისმომკიდესთან“ მივიდა, ჩაიკრა გულში და უთხრა:

- აბა, ჩემო ყველავე, ჩემ ქალაშავას შენ გაბარებ... შენ უნდა მოუარო, შენ უპატრონო, იმის გამჯავრებელი შენ უნდა გააჯავრო [1, 253, 254].

ნაწარმოებში მოხევე გუგუა ქორწინდება ძიძიაზე, მათი ხელისმომკიდე კი ონისეა. ონისესა და ძიძიას წრფელი სიყვარულით შეუყვარდებათ ერთმანეთი, ონისე მთელი ნაწარმოების მანძილზე ცდილობს განერიდოს ამ გრძნობას, მაგრამ სიყვარულის წინაშე უძლურია, რასაც ტრაგიკულ დასასრულამდე მივყავართ. ხევისბერი გოჩა საკუთარი ხელით კლავს შვილს. თუმცა, ონისეს სამსჯავრო გაამართლებს და მოხევეთა ღალატი მას ბრალად არ ედება. შვილის მოკვლის შემდეგ ხევისბერი გოჩა ჭკუაზე შეცდება. ილუპებიან ძიძიაცა და გუგუაც.

ნაწარმოებში შთამბეჭდავადაა გადმოცემული „დამწყალობების“ სცენა, როდესაც მოხევეები მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას ტაძრის ეზოში იკრიბებიან. „ტაძრის გალავნიდგან ჯერ წვერი ამოჰყო დროშის ჯვარმა და მერე მთლად დროშაც გამოჩნდა. წუთზედ მთელი ხალხი მუხლებზედ დაეცა და მიწასთან გაერთებით თაყვანი სცა სახალხო წმინდანს. კედელზედ გადმოჩნდა ქედმოხდილი კაცი, გრძელის გაშლილის თეთრი თმით და წვერით... ხალხს მოშორდა სასოფლო დროშები, რომელნიც ტაძრის გალავანში შეიტანეს თეთრჩოხა მედროშეებმა, და რამდენიმე წუთს შემდეგ დროშის თავის გარს შემოახვიეს... მოხუცმა შეანძრია დროშა და ამ საერთო სიჩუმეში გაისმა პატარა ზარების წკრიალი... გოჩამ კიდევ შეანძრია დროშა, კიდევ გააწკრიალა ზარები და პირჯვრის გადაწერით მოჰყვა წყნარად, ტკბილად და დინჯად ხალხის დალოცვას. საერთოდ ხალხის დალოცვის

შემდეგ დაიწყო იმათი დამწყალობება, ვისაც სათემოდ თავი გამოეჩინა და შრომა და ჯაფა არ დაეშურებინა თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის... და გაათავა უფლის ვედრებით, რომ მას ხევზედ ხელი არ აედო და ყოფილიყო მისი მფარველი ყოველს გაჭირვებაში მრავალჟამიერ“ [1, 283, 284].

მოთხრობაში ყაზბეგი იყენებს ხალხური სიტყვიერების ნიმუშებსაც.

გაუსვი და გამოუსვი,
ვითომ ჭიანურიო;
მეზობლის ცოლს ხელს ნუ ახლებ,
ისიც შინაურიო [1, 265].

ან:

„ჩემო ხელისმომკიდეო,
ტაგანაი მომკიდეო... [1, 273].

ხალხური სიტყვიერების ღრმა კვალი შეინიშნება ყაზბეგის მოთხრობაში „ელგუჯა“. მოთხრობა პოლიტიკური ხასიათისაა და ეყრდნობა 1804 წლის მთიულეთის აჯანყების ამსახველი ისტორიულ ფაქტებს. მთავარმართებელ პავლე ციციანოვის დროს აჯანყებულებმა დაიპყრეს საქართველოს სამხედრო გზა და კავშირი დაამყარეს ირანში გადახვეწილ ალექსანდრე ბატონიშვილთან, რომლის მიზანი იყო საქართველოს ტახტზე ასვლა. ხალხის დამოკიდებულებას რუსეთისა და მისი პოლიტიკური ინტერესებისადმი ასე გვიხატავს ალ. ყაზბეგი: „საქართველოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა!.. ეს ხმა ზარსავით დაგვეცა თავს, რადგან ჩვენ რუსეთისაგან მფარველობა გვინდოდა და მოულოდნელად ყმად კი გადავიქცით... ამის შემდეგ პირობა შეჰკრეს, რომ რუსის ჯარებს, რომელთაც ათიოდე დღეზედ უნდა ჩამოეარათ, გზები ისე შეუკრან ფასანაურის ვიწროებში, რომ ვეღარც წინ წავიდნენ და ვეღარც უკან; მოხვევთაც მოელაპარაკონ, რომ იმათაც დარიელის ხეობა შეჰკრან და სულიერი აღარ გადმოჰაჭანონ [1, 113].

ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირები ელგუჯა და სვიმონ ჩოფიკაშვილი რეალური პიროვნებები არიან. ხევში არაერთი თქმულება არსებობს იმის შესახებ, თუ როგორ მოიტაცა ქალი ელგუჯა ფაშეტელმა, ჩოფიკაშვილების ოჯახიდან და მდევრებმა როგორ გამოასალმეს იგი სიცოცხლეს. ხევში ელგუჯას შესახებ ხალხური ლექსებიც კი არსებობს. აღსანიშნავია, რომ ბევრი მათგანი თვით ნაწარმოების

ტექსტიდან მომდინარეობს. უანგარო სიყვარულით უყვართ ყაზბეგის გმირებს ერთმანეთი, მათი საბოლოო მიზანი კი ოჯახის შექმნაა.

„აქვე ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ, ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს ყაზბეგის შემოქმედებაში. მისი პერსონაჟები კავკასიაში მცხოვრები სხვადასხვა ხალხის შვილები არიან. ისინი განსხვავდებიან როგორც თავისი ეთნიკური წარმომავლობით, ასევე აღმსარებლობით. ყაზბეგი თავის თხზულებებში ყველგან აკონკრეტებს მათ განსხვავებულ რელიგიურ მრწამსსა და ეთნიკურ წარმომავლობას, მაგრამ როდესაც საუბრობს ისეთ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე, როგორცაა მეგობრობა, სიყვარული, თავისუფლებისათვის ბრძოლა, მის გმირებს შორის ურთიერთობისას ზღვარი არ არსებობს, ისინი ერთი იდეის მატარებელნი ხდებიან“ [2, 76].

ყაზბეგი „ელგუჯაში“ ხშირად იყენებს ხალხურ თქმებსა და ანდაზებს. მათ გამოყენებას ყაზბეგის შემოქმედებაში თან ერწყმის რიგ ჩვეულებათა ახსნა. ზოგი მათგანის ანალოგია მსოფლიო ლიტერატურაშიაც შეინიშნება. მივმართოთ ტექსტს: „-მართალს ამბობ, მართალსა! დავიხოცნეთ, თუ სიკვდილის დღე მოსულა. კაცი ერთხელ დაიბადების, ერთხელ უნდა მოკვდეს“ [1, 66]. ასე მიმართავენ ავადმყოფ ელგუჯას მთიელები და ამით უსამართლობის წინააღმდეგ თავის ვაჟკაცობას ამტკიცებენ: ან „უეჭველად ასეც უნდა ყოფილიყო იმ ხალხში, სადაც ვაჟი ნაჩეხი სჯობია და სადაც რიგიანი ქალი არ გათხოვდებოდა იმისთანა კაცზედ. რომელსაც თავ-პირი დაჭრილობის ნიშნებით დამახინჯებულ არ ექნებოდა [1, 67].

ნაწარმოებში ჩანს ძმადნაფიცების ინსტიტუტიც. ძმად იფიცებიან მოხვევები და მთიულები რუსის ჯართან ბრძოლის წინ: „რომ ყველანი ერთად გადაიქცნენ და ერთის სახელით იმოქმედონ, ერთმა ყველასათვის გადასდოს თავი და ყველამ ერთისათვის.

მაგრამ ეს ფიცი საჭიროც არ იყო, ისინი თავიანთის აღზრდით, თავის შეხედულებებით და ჩვეულებით თავიანთ მოვალეობად ხედავდნენ ერთმანეთის შველას, ერთმანეთისათვის თავგადადებას. ასეც უნდა ყოფილიყო იმ ხალხში, რომელიც დედის ძუძუსთან ერთად შესწოვდნენ და ჩაინერგავდნენ ამხანაგის მოღალატის ზიზღსა და სიძულვილს. იმ ხალხში, რომელთაც ზღაპარი თუ ლექსი ამ საგანზე ტრიალებდა და უნერგავდა გულში ამ ამადლებულს შეხედულებას“ [1, 118-119].

ალ. ყაზბეგმა ნაწარმოებში დახატა ხევის სახალხო მთქმელის ღინჯა ხულელის უკვდავი სახე. ნაწარმოებში გამოყენებულია მისგან ჩაწერილი ლექსები. მას „მწერალი პირადად იცნობდა და მისგან ლექსებიც ჩაუწერია, სახელდობრ, ერეკლეს გლოვის ცნობილი ხალხური ლექსი „აღსდექ გმირთ-გმირო“ [3, 22]. „მამასადამე, ღინჯა ხულელი რეალური პირია, იგი ცხოვრობდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და 1881 წელს, „ელგუჯას დაწერისას, უკვე მოხუცი იყო. ღინჯა ტრადიციული სიტყვიერებს დიდი მცოდნე და ვირტუოზული შემსრულებელი ყოფილა“ [4, 160].

ყაზბეგი ასე ახასიათებს ღინჯა ხულელს; „სვიმონის თავთან იჯდა მოხუცი ღინჯა, რომლისთვისაც გათეთრებული წვერი ხანსა და დროს რაოდენადმე შეეყვითლებინა. ეს იყო მთაში განთქმული მეფანდურე და ჭკუამახვილი, გრძნობით სავსე მოლექსე, მამასადამე, ყველასაგან პატივცემული და საყვარელი სტუმარი. ტკბილი მოსაუბრე, ამალღებულის გრძნობით აღსავსე, მოაზრეული ღინჯა ყოველ სიმის ჩაკვრაზედ ფანდურს ისეთს ღმას აღებინებდა, რომელიც კაცს გულს უწურავდა, ჟრუანტელს აღუძრავდა და ოფლს დაასხამდა“ [1, 156].

მოთხრობაში ჩანს თემის რღვევის პერიოდი, თუმცა, თემი მთელი სიცხადით ცდილობს შეინარჩუნოს ძველი ადათ-წესები. ყველა სადავო საკითხს თემის უზუცესები წყვეტენ და გამოაქვთ ლოგიკური განაჩენი. ნაწარმოებში საინტერესოა ასახული მოსისხლე მტრის გასამართლება და მასთან შერიგება. ელგუჯასა და სვიმონ ჩოფიკაშვილის საკითხს თემი განიხილავს და რახან ნახავენ, რომ ელგუჯას ხელით არ იყო მოკლული გაგი, ამიტომ სისხლის ძიება არ ეკუთვნოდათ ჩოფიკაშვილებს. კრება ითვალისწინებს იმასაც, რომ მზალო არ იყო ძალით გატაცებული და თავისი ნებით გაჰყვა ელგუჯას. ამ შემთხვევაში ჩანს, რომ თემი დემოკრატიულ და ჰუმანურ პრინციპებზეა აგებული.

თუმცა, თემი ითხოვს თავისი გადაწყვეტილების შესრულებას: „გაგის კლდეზედ გადავარდნა არ არის პირდაპირი ელგუჯას ხელით სიკვდილი და სისხლი არ ეძიება ამისთვის. ამის სამაგიეროდ ელგუჯას ჩამოერთოს მამული და მიეცეს სვიმონ ჩოფიკაშვილს... სვიმონმა თავი მხრით გაიღოს ელგუჯას საექიმო. ელგუჯას ნათესაობა, თემის კაცების დასწრებით, მოვიდეს ხართა და ლუდით გაგის საფლაგზედ შესახვეწად. ქალი დარჩეს სვიმონს, როგორც ნასყიდი, და, თუ ელგუჯამ წაყვანა

მოინდომა, ურვადად გადაეხადოს ორმოცი ძროხა. ამის შემდეგ ელგუჯას და სვიმონის გვარეულობაში ჩამოვარდეს ძმობა, მეზობლობა და სიყვარული“ [1, 79].

მოთხრობაში ვხვდებით ხალხური სიტყვიერების არაერთ ნიმუშს. საინტერესოდაა დახატული, თუ როგორ ემშვიდობება სახალხო მთქმელი ღინჯა ხულეული სვიმონ ჩოფიკაშვილს: „მოხევემ ფანდურს კიდეც ჩაჰკრა, ჩაჰკრა და ერთბაშად დაიძახა:

შენ რომ გვმორდები, გმირთ-გმირო
რაღას გვიპირებ ჩვენაო?
გიყურებთ, გული დუღდების,
ძლივს-და გვიბრუნავს ენაო“ [1, 167]

მოთხრობაში დახატულია საწესჩვეულებო სცენები, სამგლოვიარო მოთქმა, მიცვალებულის ხმით დატირება. ავადმყოფი სვიმონ ჩოფიკაშვილის გარდაცვალების შემდეგ, „მიცვალებული გაბანეს, ჩააცვეს საუკეთესო ტანისამოსი მოჰარსეს წვერი და საკაცით „სამყოფო სახლში“ დაასვენეს. ჭირისუფალნი და მგლოვიარე ნათესავ-მოკეთენი სამის მხრით გარს შემოეხვივნენ, მხოლოდ ისე მოშორებით კი დადგნენ, რომ მოტირალთა და ცხედარის შუა კაცის გასასვლელი ადგილი დარჩენილიყო... ესენი განსაკუთრებით ქალები და დედაკაცები იყვნენ, რომელთაც თავშეღობა მოეხვიათ, თმა გაეწეწათ და დამკლავებულნი სატირლად მომზადებულიყვნენ. სოფლის დედაკაცები ჯგუფ-ჯგუფად... მთაში შემოდებულის თავისებურის ტირილით შემოდოდნენ... ამბავი სრული შვიდი დღე გრძელდებოდა... სახლში მყოფთ შორის რომელიმე მოხუცი მანდილოსანი ცხედარის მკერდიდგან თოფს აიღებდა, ზედ დაეყრდნობოდა და მიცვალებულს ლექსად შესხმას ეტყოდა, მის ცხოვრებას ხალხს მოუთხრობდა. მომთქმელს დანარჩენები, დრო გამოშვებით მისცემდნენ შანსა და მოჰყვებოდნენ შეწუხებულის ხმით, ზარით ტირილსა.

ყოველი მოქმედება, ყოველი სამსახური, ყოველი სახსენებელი სქმე, რომელიც მიცვალებულს ცხოვრებაში ჩაედინა, ეხლა საქვეყნოდ მოიხსენებოდა და მსმენელთა შორის თანაგრძნობას და მადლობას გამოიწვევდა.

მიცვალებულის სახელთან ერთად იმ დაკლებულთ სახელებსაც არ ივიწყებდნენ, რომელთაც ხალხისთვის ოდესმე შესამჩნევი სამსახური გაეწიათ და ვაჟკაცობის სახელი დაემსახურათ“ [1, 166].

ყაზბეგი დიდი სიზუსტით აღწერს მოხვევთა წეს-ჩვეულებებს.

„ალექსანდრე ყაზბეგი თავის ნაწარმოებებში იყენებს მთის მდიდარ ფოლკლორულ მასალას, რომელსაც გარდაქმნის და გადაამუშავებს შემოქმედის ხედით და წარმოაჩენს მთიელი ხალხის სულს, ზნე-ჩვეულებებსა და ადათს“ [5, 95].

ხალხურ შემოქმედებასთან ერთად თავის თხზულებებში იგი ეყრდნობა ისტორიულ ფაქტებსა და ეთნოგრაფიულ მასალას. საზოგადოდ, მას მიიჩნევენ ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლად და ასევე საუბრობენ მისი შემოქმედების მიმართების საკითხებზე დასავლეთ-ევროპულ ლიტერატურასთან.

ვფიქრობთ, მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში კვლავ ბევრი რამაა შესასწავლი და გასააზრებელი.

ლიტერატურა:

1. ყაზბეგი ა., მოთხრობები, თბილისი, „ნაკადული“, (1976).
2. ვარდოშვილი ე., პოეტური თანხვედრანი, წიგნი II, თბილისი, „ბარტონი“, (2014).
3. ჩავლეიშვილი თ., ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯას“ შემოქმედებითი ისტორია, თბილისი, „მეცნიერება“, (1985).
4. ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბილისი, (1952).
5. ვარდოშვილი ე., პოეტური თანხვედრანი, თბილისი, „ბარტონი“, (2010).

**FOR REFLECTION OF FOLK CREATIVITY IN THE WRITINGS OF
ALEXANDER KAZBEGI**

Eka Vardoshvili

Doctor of Philology, Corresponding Member of the
Tskhum-Abkhazian Academy of Sciences, Ivane
Javaknishvili Tbilisi State University, Associated Professor
E-mail: eka.vardoshvili@tsu.ge

*Presented by the Institute of Georgian Language and Literature named after Professor
Otar Churgulia of the Tskhum-Abkhazian Academy of Sciences*

Abstract. Kazbegi uses folklore material in artistic, ethnographic and autobiographical works. The ethnographic letter “Mokheve people and their life”, which was published in the newspaper “Droeba” in 1880, is a kind of basis for his creativity. In “Memoirs of a Former Shepherd” he writes: “I wanted to see the people, I wanted to understand their desire, to live their life... As I heard and understood all this, I decided to tell you stories and introduce you to the customs, character and rules of these people” (Kazbegi). Here Kazbegi clearly defined the purpose of his life and the essence of artistic creations.

It is also worth noting that he himself collected and distributed samples of folk-lore. In 1885, the poems written by him were published in “Iveria” under the title “People’s poems gathered in the ravine from A. Mokhubaridze”. In 1886, “Folk poems, songs of a Mokheve and Mokheve people” was published as a separate book. The influence of folk vocabulary can be seen in his lyrical poems as well. We think, in this regard, there are still many things to be studied and understood in his literary legacy.

Keywords: *Kazbegi, georgian folklore, artistic works.*